ნიანგი

16

გამოცემის 55-ე წელი, (№ 1530) აგვისტო 1978, ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა




— დღეს თევზის დღეა, მაგრამ პირი წყლით კი არა მაქვს სავსე, რომ მატყუებ.

ნახ. ნ. მალაზონიასი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ადგილი მომეცით, კაცო, ეს კოლმეურნეობის ბაზარია თუ ქორმეურნეობის?

# დიალოგები

— რა ზომები მიიღეთ, ცხვარი რომ უნებართვოდ დაუკლავთ?
— გავატყავეთ, ბატონო!

—:—:—

— აქამდე რატომ ვერ ვამჩნევდით, ეს ყმაწვილი ასეთი ენაწყლიანი თუ იყო?
— პირში ღვინო ჰქონდა დაგუბებული!

—:—:—

— პორფირიჩ, რომ მიდიხარ, კაბინეტის კარებს რატომ არ კეტავ?
— კარჩაკეტილობა რომ არ დამაბრალონ.

**ა. თავაძე**

## მჭადის ფქვილი ასე ძვირი?

ჩვენს სოფელში ცხოვრობს ერთი
მეწისქვილე იაკინთე,
და თუ ფქვილი შემოგაკლდეს,
იაკინთეს მიაკითხე...

დაუყვავე, მოეფერე,
მა, ნერვებზე ხომ არ აშლი...
თუმნიანიც ჩაუყაჩე
თაგვის დახრულ ტომარაში.

თეთრ არაყს და წითელ ღვინოს
ვარიკელაც მიაყოლე,
და ყოველთვის იქონიე
მასთან ძმური სიახლოვე.

ჰოდა, ნუ კი დაიჯერებ
მისი ძვირი სხვამ რომ გითხრას,
ერთი ფუთი სიმინდისგან
ექვს კილო ფქვილს ჩამოგიფქვავს.

საყვედური არკი დაგცდეს,
დააჭირე ენას კბილი,
მერე მხოლოდ შენ თავს ჰკითხე,
რა დაგიჯდა მჭადის ფქვილი?

**ეთერ სამხარაძე**

# ნიანგი

### კონტინგენტი, კონტინენტი და მზის სათვალე...

ვინ არ განუცვიფრებია ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა ნახელავს, ამა თუ იმ ნაწარმს. მხოლოდ საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იციან, თუ რა დიდი გარჯის ფასად აღწევენ ამას შრომისუნარმოკლებულნი. საყოველთაოდ დადგენილია, რომ იმ საწარმოებში, სადაც ინვალიდები შრომობენ, უნდა დაცულ იქნეს კონტინგენტი. ვთქვათ, 50 უსინათლოს გვერდით უნდა დასაქმებულ იქნეს ამდენივე ჯანმრთელი ადამიანი. ეს წესი წლების განმავლობაში ირღვეოდა საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოების ფოთის სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „კოლხეთის“ ზუგდიდის ფილიალში, ყურადღება არ ექცეოდა მატერიალურ ფასეულობათა დაცვას, ირღვეოდა შრომის დისციპლინა. ასეთ პირობებში ლაპარაკიც ზედმეტი იყო გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ აქ საწარმოო გეგმის შესრულება მოგების მაგიერ ზარალს იძლევა.

საქ. კპ ზუგდიდის რაიკომის ბიურომ იმსჯელა ამ საკითხზე და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მიუხედავად ახალი ხელმძღვანელობის კომპეტენტურობისა, ვითარება საწარმოში კვლავ მძიმეა. 5 საქსოვი დაზგიდან მწყობრიდან გამოსულია ორი, ხოლო დანარჩენი სამიც შეფერხებებით მუშაობს, ამის გამო სამკერვალო საამქრო დროზე ვერ ღებულობს საჭირო ქსოვილს. საგალანტერეო საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქცია ხშირად უხარისხოა და მომხმარებელი იწუნებს.

1978 წელს უკვე მიღებულია 8 რეკლამაცია. ნიკოლაევის საოლქო ბაზამ უკან დააბრუნა 2142 ცალი აბრეშუმის ხელჩანთა, ამჟამად მთელი ეს 16.683 მანეთის პროდუქცია საწყობშია გამოკეტილი და უნდა გადაეცეს უკანვე საამქროებს დეფექტური ნაწილების შესაცვლელად.

ბაზა „უკრობლგალანტერეიდან“ უკან დაბრუნდა 970 ცალი დაწუნებული იგივე სახის ხელჩანთა, ხოლო ნიკოლაევიდან კვლავ უკანვე გამოიგზავნა 1690 ცალი აბრეშუმის ხელჩანთა. ჯარიმის, ტრანსპორტირებისა და ექსპერტიზის ხარჯები აუნაზღაურებელ ვალად აწვება მშრომელთა კოლექტივს.

ასევე წუნი დასდეს და ხარკოვიდან უკან დააბრუნეს 3.400 ცალი მზის სათვალე.

მაინც რა პრეტენზიას უყენებს მომხმარებელი ზუგდიდელ უსინათლოთა ნახელავს?

როგორც საწარმოს ახალ ხელმძღვანელებთან საუბარში გაირკვა, პროდუქციის ზოგიერთი სახეობის წარმოების ტექნოლოგია ძნელი ასათვისებელია უსინათლოთა კონტინგენტისათვის — ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ზოგჯერ ნაწარმის ხარისხი რამდენადმე მოიკოჭლებს, უმეტეს შემთხვევაში კი მომხმარებელი ზედმეტ მომთხოვნელობას იჩენს მათ მიერ მიწოდებული პროდუქციისადმი და ეძებს თუნდაც სულ უმნიშვნელო საბაბს, რათა უკან დააბრუნოს საქონელი, მიზეზი კი დიდი ხანია ცნობილია — ბაზარზე მოთხოვნილება არ არის.

რატომ არ არის ამ ფართო მოხმარების საგნებზე მოსახლეობის მოთხოვნილება? ამ კითხვაზე არცთუ ისე იოლია პასუხის გაცემა.

— აი, თუნდაც სათვალე ავიღოთ, ჩვენ მას ისეთ რაიონებში ვაგზავნით, სადაც მოსახლეობა განებივრებულია მოდური საქონლით და აბა, მაკარტის სათვალეს ჩვენ კონკურენციას როგორ გაუწევთ. — გვიპასუხა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა, — მოგვცენ მივარდნილი რაიონები და მდგომარეობაც გამოსწორდება.

რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, მაგრამ შესაძლოა მასში კი ურევია ჭეშმარიტების მარცვალი. დიახ, მომხმარებელი სულ უფრო მაღალ მოთხოვნილებას უყენებს მწარმოებელს. ზოგჯერ, შესაძლოა, ხარისხიანიც არის ნაწარმი, მაგრამ მაინც იწუნებს თუნდაც იმ მიზეზით, რომ სურს შეიძინოს ორიგინალური, ყველასაგან განსხვავებული, როცა ერთი და იგივე ასორტიმენტის საქონელი წლობით ერთი და იგივე რაიონებში მიედინება, მაშინ ბაზარი ნაჯერი ხსნარივით ჰკარგავს უნარს, რომ კიდევ რამე აითვისოს.

მხოლოდ მოქნილობა, ოპერატულობა და იმის ალღო, თუ უახლოეს ხანებში რას ჩაიცვამს და დაიხურავს ქალბატონი მოდა, დაეხმარება მწარმოებელთ, რომ უკეთ გაერკვნენ ბაზრის რთულ და უხილავ დინებებში და მოძებნონ საიმედო ფონი.

### მედეა და... ბოთლში ჩატეული სურვილი

ზაფხულსაც აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სამკაულები. მზიანი ქალაქები, დასიცხული ქუჩები, ბულვარებზე გამოგორებული სიცხის საწინააღმდეგო საშუალებები: ბურახის ცისტერნა, ნაყინის ბუდრუგანა... ღია პავილიონებსა და ფარდულებში ჩაციებული ლუდის კასრები, შუშხუნა სასმელებით სავსე ლამაზეტიკეტიანი ბოთლები.

ბუნებრივია, მათი ხარისხი ისევე გვაღელვებს, როგორც ყველა დანარჩენი საგნებისა, რაც ჩვენს ყოფას ალამაზებს. როცა ზაფხულის მზე თავისი მცხუნვარებით აგავსებს, დაგთენთავს და კათხა ლუდს ან ჭიქა ლიმონათს მოგანატრებს, ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ შენს სურვილს ახდენა არ უწერია მავანისა და მავანის დაუდევრობის, ზოგჯერ კი უპატიოსნობის გამო. საუბედუროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან წყალ-წყალა ლუდისა და ლიმონათის გამყიდველები, უფრო ხშირად კი პროდუქციას ქარხნებიდანვე აკლია ხარისხი.

ამ ფიქრით დავაბიჯებდით ძველი კოლხეთის ახალგაზრდა ლამაზი ქალაქის ქუჩებში. ვუყურებდით სკვერებში მორონინე ქალიშვილებს, ნაყინის ლოლუებს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოთის ლექსი

ლექს გითხრათ ლოთის კაცისა, — ულვაშნი რო სხავ ვაცისა, —
ვეროთ ინახავს ოჯახსა, არც შნო აქვს მისი დაცვისა!
გადაჰკრავს არაყ-ღვინოსა, მადა ეძლევა მგლებური,
მამრედ კი სოფელს მაივლის ტალახჩი ამოვლებული...
უცხოთა თვალით ნანახი — ერთი — შეარცხვენს სოფელსა,
რო სრუ სიკეთით ჰყვაოდეს, მაინც გაუჩენს მგმობელსა.
არგასაზრდელად გაზრდილი, შვილი. რად უნდა მშობელსა?
მაკვდის და ესრე ურჩევნავ ოჯახის დამამხობელსა!..
ლოთისა გვერდჩი მდგომარე, ჭკვიანიც დასაწუნია,
ნაგავჩი ჩაფლულ ოქროსა ნაგვისაივ აქვ სუნია!
ერთსაც ვიტყოდი რჩევასა, თუ გინდაც დარჩას პირობად:
ლხინჩი ჯდომას და ღვინის სმას არც ვის უთვლიან გმირობად!
გაშლილ სუფრასთან მჯდომარე, კაც, ბევრას დაიქადების,
ნამდვილი ვაშკაცობა კი ჭირის დროს დაიბადების!
ცხოვრება ლოთის კაცისა, ეხ, რა უგვანოდ ბინდდების! —
გადახკრავს, თვალებს დაღბრეცავს, ძაღლივით აგიღრინდების!
გზაჩი შამხვედრთაც გაღლანძღავს, აეკიდების გუდადა,
მიწა ქალამნად მიაჩნავ, მაღლა ზეცა კი — ქუდადა!
რაც გინდა სწორა გზა იყვას, მაეჩვენების მრუდადა,
სრუაც რო ეფერებოდა, მაინც გაიგებს ცუდადა.
შინ ბალღებს დააწიოკებს, ცემით გამაღრეკს გარეთა,
ცოლსაც თან გამააყოლებს, ცრემლს აღვრევინებს მწარედა.
დილას რო გამახფხიზლდების, დაჯდების მგლოვიარედა,
„ო, თავ მტკივაო!“ — იძახის, სწყევლის მზეთა და მთვარეთა.
მადა აქვს გაუმაძღარი, ყორანისა და სვავისა,
მაგრამ რა უნდო შაჭამას?! რა ჭირ გააჩნავ თავისა?!
გულს როს მაიფხანს გინებით, მიწვების, მიეგდებისა,
ღმერთსაც აუგად ახსენებს: „რად მქნაო ესრეთ ბედისა,
მამა ადრედავ მამიკლა, არც რაიმ დამრჩა დედისა,
რახელლა უნდო ვიცხოვრა?!“ — კვლავ ლანძღვა ამახდებისა.
გარეთ მასთქვამდა დიაცი, ტანჯვისგან აცრემლებული:
„რაია ესრეთ სიცოცხლე, სრუ მუდამ ჩამწარებული?!
აქეთ ცარიელ ოჯახი, ქმარიც ესრეთა ლოთიო,
მუნჯსაც აუდგამს ენასა მუდამ ჩხუბი და ქოთიო!“

შალვა ჭოლიკაური

ნახ. ა. კანდელაკისა




ციყვი: მთელი ტყე შემოვიარე და ორიოდე თხილი ძლივს ვიპოვე! აი, სწორედ ამ დამამზადებლებზეა ნათქვამი: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო!“

## ფ რ ა ზ ე ბ ი

● **ზოგმა** ისიც კი არ იცის, რომ არაფერი არ იცის.
● **თუ** ფული არ გაქვს, კაცი არა ხარ, და თუ კაცი ხარ, ფული არა გაქვს!
● **ბალმა** შეედავა და... გამოლმაც დაკარგა.
● **ზოგიერთი** ადამიანი არსებობს, მაგრამ ვერ აზროვნებს.
● **ასჯერ** დაფიქრდი და ერთხელ დაწერე!
● **დაჟუნებით** შემიძლია გითხრა: შენი წიგნი ვერ იცოცხლებს დიდხანს!
● **არ** გაქვს არც ერთი სტრიქონი, გჯერა: დიდება გიპოვის!
● **სიცოცხლე** აკვნით გვერთმევა, მაგრამ კუბოთი გვერთმევა!

ბათუ მელია

# ს ხ უ მ რ ა დ

ლოყავდნენ და მათ შორის არაარა და ვხედავდით ძველი კოლხეთის მეფის ასულ მედეას... როგორც იქნა, გავბედეთ, მივუახლოვდით და მოწიწებით წარვუდგინეთ ჩვენი თავი...

რაკი ჩვენი შეხვედრა პავილიონთან მოხდა, ვთხოვეთ მედეას, გაეზიარებინა ჩვენთვის თავისი აზრი ყველა დროის ქალებისათვის საყვარელ სასმელზე — ლიმონათზე. პავილიონში შევიპატიჟეთ. სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე სულ პირველად ასეთი კითხვა დავუსვით:

— ქალბატონო მედეა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ძველ საქართველოშიც მრავლად იყო სავაჟინოები, სადაც ხილის წვენებს ამზადებდნენ, ხომ არაფერს გვეტყოდით მაშინდელი სასმელების ხარისხზე?

— ძველი ვაჟინი უბადლო იყო. მერე მას სხვათა ენისა გავლენით შარბათი შეარქვეს... ახლა ლიმონათად მოგინათლავთ, — პირმშვენიერმა მედეამ სიტყვა აღარ დაამთავრა და ხელი ჩაიქნია.

— ახლანდელი შარბათები... ლიმონათები გაგისინჯავთ?

მშვენიერი ქალბატონი აიმრიზა.

— მე ხომ უცხო არა ვარ... კახური ვაჟინიც გამისინჯავს, თბილისურიც... გორზე, ცხინვალზე და ქუთაისზეც გამომივლია... ზოგან კი შემხვედრია ნამდვილი ვაჟინის მინაგვარი რაღაც...

ამასობაში გამყიდველმა დახლზე გაამწკრივა ეტიკეტიანი ბოთლები და კორპსაძრობი შეათამაშა ხელში, რომელს ინებებთო, საპატიო სტუმარს შეეკითხა.

მედეამ ნაირფერი კამკამა სითხით სავსე ბოთლები შეათვალიერა და ღიმილით თქვა:

— ამათ ისედაც ვიცნობ, ხშირად დამილევია. ჩემს გარდა, იგი სხვებსაც მოსწონთ. ეგ კი არა და, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახ. სტანდარტების კომიტეტის საატესტაციო კომისიის მიერ სამივე სასმელს „მზიურს“, „ციტრუსოვანს“ და „ტარხუნას“ ხარისხის ნიშანი აქვთ მინიჭებული. — თქვა და განზე გადგა.

— მაშინ იქნება „თხევადი პური“ დაგვეჭაშნიკებინათ, — წამოგვცდა და მაშინვე ვინანეთ.

პირმშვენიერმა მედეამ წარბი შეიკრა, ოდეს ყოფილა მამათა და დედათ ერთად მიელოთ „თხევადი პურიო“, მწყრალად მოგვიგო და გაგვეცალა. ლუდის დაჭაშნიკება სხვას შევთავაზეთ და მიღებული ინფორმაციით შეგულიანებულები ზუგდიდის ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატში წავედით.

— ლიმონათის ავკარგიანობა პირველ რიგში წყალზე არის დამოკიდებული. — გვითხრეს აქაურმა მევაჟინეებმა, — ამიტომ მტკნარი, წმინდა წყლის მისაღებად ჩვენ სპეციალური ჭა მოვაწყეთ, შემდეგ კი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფაზე ვიზრუნეთ. ვახორციელებთ აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს ლუდის ხარისხის სტაბილურობის მიზნით. მოეწყო ბადაგის აერაცია დუღილის დასაჩქარებლად, გაკეთდა დიდი მოცულობის ჩანები ძნელად გასარეცხი ბოთლების წინასწარი დამუშავებისათვის, საკუპაჟე ჩანებზე დაიდგა დონის მაჩვენებელი მილი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას და საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ცხადია, ყველაფერი ჯერ კიდევ წესრიგში როდია. კომბინატის მუშაობაში არის ჯერ გამოუსწორებელი ხარვეზები, მაგრამ მთავარი ძირითადში მიღწეულია — უკანასკნელ წლებში საწარმოს არ მიუღია არცერთი რეკლამაცია — მომხმარებელი კმაყოფილია!

აქაურ კომუნისტური შრომის დამკვრელებს, მშრომელთა მთელ კოლექტივს გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც დაიბრუნონ კვების მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სახელი და გარდამავალი წითელი დროშა, რასაც საწარმო ზედიზედ თერთმეტი კვარტალის განმავლობაში ფლობდა.

ფრიად მოსაწონია მევაჟინეთა ასეთი დაჟინება.

### და ბოლოს... კონტეინერი

ქობულეთელ მქსოველთა ნახელავი — დეკორატიული გადასაფარებლები ეგზავნება რსფსრ-ს ცენტრალურ რაიონებს, მოსკოვს, ვოლგისპირეთს, ციმბირს და მომხმარებლის დიდი მოწონებით სარგებლობს.

1978 წლის 5 თვის განმავლობაში არც ერთი რეკლამაცია არ არის მიღებული საწარმოო ხასიათის წუნზე. და მაინც ამ უწუნოდ მომუშავე ფაბრიკას ხელალებით იწუნებენ ახალგაზრდები, ნაკლებად მოდიან აქ სამუშაოდ. ამის მიზეზი ერთია — არასახარბიელო საყოფაცხოვრებო პირობები. საწარმოს არ გააჩნია თანამედროვე ტიპის საერთო საცხოვრებელი, ცუდად მარაგდება სასადილოც.

შეინიშნება შეფერხებები მზა პროდუქციის გადატვირთვაში, რაც გამოწვეულია კონტეინერების მწვავე ნაკლებობით.

ფაბრიკა გორის ბამბეულის კომბინატს აწვდის ხამ ქსოვილს შემდგომ მოსაჩითავად. წელს 8 კონტეინერით ნაკლები ემსახურება ქობულეთელებს, რის გამოც კომბინატი დროულად ვერ ღებულობს სალეიბისპირე ქსოვილს.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის ცენტრალიზებულ გადაზიდვების სამსახურის მისამართით საყვედურებს გამოსთქვამდნენ აგრეთვე ხაშურის საფეიქრო - საგალანტერეო ფაბრიკისა და ქუთაისის სამკერვალო გაერთიანების ხელმძღვანელებიც. კონტეინერების ნაკლებობა შეფერხებებს იწვევს პროდუქციის გადატვირთვაში, მზა ნაწარმი დროზე ვერ ეგზავნება მომხმარებელს, იზრდება ნაშთები.

ნიანგს მიაჩნია, რომ მისი ჩანგლის მონასმებით მიღებული ინფორმაციები ამა თუ იმ საწარმოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს, რამეთუ დაინტერესებული ამხანაგები მიიღებენ ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ველით გამოჯანმრთელების პირველ სიმპტომებს, მეგობრებო!

ე. მერაბიშვილი
ვ. ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომიძისა

ხაშურის, თელავის, ამბროლაურის, კასპის, მაიაკოვსკისა და სხვა მევენახეობის რაიონებში უხეშად ირღვევა ვენახებში მინერალური სასუქების დოზები და მისი შეტანის ვადები.



— კიდევ იტაციან ჩვენზე მინერალები არ შემოაკვდო?!

თერჯოლის, ზესტაფონის, თელავის, სიღნაღის, კასპის რაიონებში არასრულყოფილად არის გამოყენებული მსხმოიარე ვენახებში რქის გადაწიდვნისა და მხრის გაგრძელების შესაძლებლობანი.



„რქების გადაწიდვნა“.

მაიაკოვსკის, რაიონის ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ცალკეულ აგროგანყოფილებებსა და ბრიგადებში, თელავის რაიონის კურდღელაურის, ვარდისუბნის კოლმეურნეობებში საკმარისი ღონისძიებები არ ხორციელდება ვაზის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ, რის გამოც შეიმჩნევა ფოთლებზე ჭრაქის გავრცელების ნიშნები.



— აბა, სად არის ჭრაქი?!

# რკინიგზელები და „რკინისებური“ ლოგიკა

ა/კ რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის ხელმძღვანელობის განკარგულებაში მყოფ ბინაში შესახლდა **ბათუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე მალონ ქორიძე** ისე, რომ არ გააჩნდა ფართის დაკავებისათვის აუცილებელი დოკუმენტი, ორდერი, მაგრამ სხვა დანარჩენი ყველაფერი ჰქონდა: ბათუმის სალოკომოტივო დეპოს ხელმძღვანელობისა და ადგილკომის თხოვნა ა/კ რკინიგზის სამტრედიის განყოფილებისადმი, რათა მატარებლის მემანქანე მ. ქორიძე შესახლებულიყო **ქ. ბათუმის კიროვის ქ. № 70-ში,** სადაც ოროთახიან ბინაში მანამდე იმავე სალოკომოტივო დეპოს თანამშრომელი ცხოვრობდა. შეცდა მ. ქორიძე, რომ არ დაელოდა ორდერს და მერცხალივით შეფრინდა ბინაში. უჩივლა თუ არა ქ. ბათუმის № 5 რკინიგზის სახლმმართველობამ ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოში, წამსვე გამოასახლეს. აქ იურიდიულად ყველაფერი სწორი და კანონიერია. ვერაფერს შეედავები. მაშ, რაღას ლაპარაკობთ, ვერ გაჩერდებით? — იტყვის მკითხველი, მაგრამ ჩვენ აქ საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ იურიდიული კანონების გარდა, არსებობს დაუწერელი მორალური კანონებიც, რომელიც საბჭოთა საზოგადოებისაგან განუყოფელია.

„... ჩემი ოჯახი 11 სულისაგან შედგება და ვცხოვრობ 28 კვ. მ. ფართობის ბინაში ტურგენევის ქ. № 12-ში (ბინა კეთილმოუწყობელია და არ გააჩნია არავითარი დამხმარე სათავსო). ამასთან ერთად, ჩემთან ცხოვრობს ჩემი დედა, რომელმაც ორი შვილი დაკარგა დიდ სამამულო ომში“. — ასე იწყება განცხადება, რომლითაც მ. ქორიძემ მიმართა საქ. კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტსა და აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს. ასეთივე განცხადებები გააგზავნა ა/კ რკ. გზის სასამართველოში. განცხადება ბევრი იწერებოდა, მაგრამ მიუხედავად საქ. კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის მხრივ სწორი რეაგირებისა, ა/კ რკ. გზის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილე **რ. ვ. ვაშაკიძე** და ამავე განყოფილების პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ა. პ. ტორონჯაძე** ვერა და ვერ ცვლიდნენ თავდაპირველ გადაწყვეტილებას.

სამაგიეროდ გადაწყდა და შესრულდა კიდეც: გამოასახლეს მემანქანე მ. ქორიძე თავისი ოჯახით და იმ გათავისუფლებულ-გამოთავისუფლებულ ბინაში შეასახლეს **ქ. ბათუმის სადგურის ვაგონების შემდგენელი კონსტანტინე დარჯანია** თავისი ოჯახით. აქედან იწყება ტრაგიკომიკური მრავალმოქმედებიანი სპექტაკლი, რომლის მთავარი რეჟისორია **ა/კ რკ. გზის სამტრედიის განყ-ბის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის უფროსი ვ. დ. ბურჯანაძე.**

ყველაფერი შედარებითია და ჩვენც ამ პრინციპს მივყვეთ. შევადაროთ გამოსახლებულის საბინაო მდგომარეობა შესახლებულის საბინაო მდგომარეობას. შესახლებული გახლავთ ბათუმის მკვიდრი, კონსტანტინე დარჯანია, რომლის მშობლები **ქ. ბათუმში შაუმიანის ქ. № 130-ში ცხოვრობენ, უჭირავთ 140 კვ. მ. ფართობი.** ამ სტადიონისოდენა ფართობის მქონე კაცმა — **ივანე დარჯანიამ** ბინიდან გამოასახლა თავისი ვაჟიშვილი კონსტანტინე, სადაც იგი ჩაწერილი იყო მეუღლესთან ერთად 1961 წლის 14 თებერვლიდან და მხოლოდ მაშინ ამოწერა იგი, როცა მან ქ. ბათუმში, კიროვის ქუჩის № 70 სახლში, შესახლების ორდერი მიიღო. ეს მოხდა 1975 წლის 30 იანვარს. თუმცა იმასაც ამბობენ, კონსტანტინე ამ ხნის განმავლობაში ბარაკში ცხოვრობდაო, მაგრამ დოკუმენტები სხვას ლაპარაკობენ!

განიხილა რა აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ბათუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის — მ. ქორიძის განცხადება, ა/კ რკინიგზის სამტრედიის განყოფილებას გაუგზავნა წერილი, საიდანაც მოგვყავს ერთი აბზაცი: „...აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს მიაჩნია, რომ ნამდვილად გასათვალისწინებელი იყო ბათუმის სალოკომოტივო დეპოს პროფკავშირის ადგილკომის წინადადება, ბინა, რომელიც წინათ სალოკომოტივო დეპოს მუშაკს ეკუთვნოდა, უნდა გადასცემოდა ისევ მათ განსანაწილებლად. ადგილობრივი ორგანოების ჩარევით შეიძლებოდა მოგვარებულიყო კ. დარჯანიას დავა მშობლებთან და დროებით ეცხოვრა მშობლების საკმაოდ მოზრდილ და კეთილმოწყობილ ბინაში, მით უმეტეს, რომ სინამდვილეში იქ იყო ჩაწერილი და გამოთავისუფლებული ბინა მიეღო პირველ რიგში მას, ვისაც ასეთი საშუალება არ ჰქონდა“ (1975 წ. 11/VIII, № 175).

მაგრამ წერილი წერილად დარჩა, წამკითხავი ან გამკითხავი არავინ აღმოჩნდა. მ. ქორიძის მატარებელი მიმოქროდა, განცხადებები აქეთ-იქით დაფრიალებდა, ბოლოს კი მატარებელიცა და განცხადებებიც სამტრედიაში ჩერდებოდა.

მოგვიანებით, ა/კ რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილება — მემანქანე მ. ქორიძის გამოსახლების შესახებ არ იყო სამართლიანი და [illegible] სადგურ ბათუმის ხელმძღვანელობას — წერილი გაუგზავნა **10/349, 26/VI-77 წ.), რათა გაეუქმებინათ კ. დარჯანიას ბინის ორდერი და გამოესახლებინათ იგი ბინიდან,** მაგრამ სადგურ ბათუმის ხელმძღვანელობამ ეს მოთხოვნა ვერ შეასრულა და ვერც შეასრულებდა!

ა/კ რკინიგზის სამტრედიის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის უფროსი გვატყობინებს: „ამჟამად კი (1977 წ. 9/IX — 21/1119) კ. ი. დარჯანიას ბინიდან გამოსახლების საქმე გადაცემულია ბათუმის სახალხო სასამართლოში“.

სასამართლომ 1978 წლის 19 იანვარს განიხილა ეს საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება კ. ი. დარჯანიას ხელშეუხებლობის შესახებ.

სასამართლომ იურიდიულად სწორი გადაწყვეტილება კი გამოიტანა, მაგრამ თავიდან ვინ გაამრუდა ეს საქმე?!

ახლა ყველაფერი დღესავით ნათელია და უნებლიედ ქართული ანდაზა გვაგონდება: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“.

ჟანი სიხარულიძე

# მე, ავტობუსი და სკამი

ის იყო, ხალხით გაზინზილებულ ავტობუსში ცარიელი სკამი დავითრიე, რომ თავზე ერთი გაფაშფაშებული, თმებშევერცხლილ-შემელნისფერებული, ჩაბრილიანტებული ქალი დამადგა. უცებ ზრდილობის ელემენტარული ჭეშმარიტება მომაგონდა, რომ უმცროსმა უფროსს ადგილი უნდა დაუთმოს. ადგილი დავუთმო? არა, ამას ისიც ეყოფა, ბრილიანტებით რომ არის აქარგულ-ჩაქარგული, მომაფიქრდა მე და ვერცხლისწყლით დაფერილ ერთადერთ ბეჭედს საცოდავად დავხედე. ახუტულ-ჩახუტული მგზავრების დაუთვლელი წყვილი თვალი ჩემსკენ იყო მოჩერებული, იდუმალ ზოგი ჩემს „ბედს“ შემონატროდა, ზოგი კი უზრდელად მნათლავდა.

— ქალო, ეშხია, ხუთკაპიკიანები გაქვს, თუ ჩასასვლელში უნდა ჩავუსაფრდე ხალხს დასახურდავებლად?! — გამოსძახა ჩემს თავზე მდგომ მანდილოსანს ვიღაც მამაკაცმა, რომელიც უდავოდ ქმარი იქნებოდა, თორემ ამგვარ ფამილარობას რომელი ქალი შეარჩენდა. ქალმა ჯიბეები ხმაურით, ჩემს სხეულზე ხელების მონაცვლებით მიიჩხრიკ-მოიჩხრიკა და ორი ცალი ხუთკაპიკიანი ამოაძვრინა. მან ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ ფული ხელიდან გაუქრა, ხალხში დატრიალდა, მიხურდავდ-მოხურდავდა და ბილეთების სახით დაუბრუნდა პატრონს.

ამას ისიც ეყოფა, ქმარი რომ ჰყავს, იდუმალ დავუბრუნდი ჩემს მტკივნეულ ადგილს და გუნებაში ჩემი თაყვანისმცემლები წარმოვიდგინე, შეხვედრისას, ჯერ ჩემი ბინის მიღების ამბავს, ხოლო შემდეგ ჩემს ჯანმრთელობას რომ კითხულობენ ხოლმე. სკამის დათმობა-არდათმობაზე ფიქრმა ისე გამიტაცა, რომ ჩემი გაჩერების მოახლოება ძლივს შევნიშნე და წამოვხტი.

— მიხვდა ქალბატონი როგორც იქნა! — აჟღრიალდა ხელ-თითყურ-სამკაული, — ვითომ ისიც არ ყოფნის, რომ ახალგაზრდაა! — ფიქრი მოკლედ ჩამოხეული ბილეთივით გამაწყვეტინა ქალმა, როყიო სიტყვებით ზურგი ამიწვა და დაუთმობელ ადგილზე შეფერებულად დაჯდა.

მე, რა თქმა უნდა, ჩემ გაჩერებაზე აღარ ჩამოვსულვარ...

ნანა ჯაჯანაშვილი

# ეპიგრამები

ცხოვრობ მარტო, მარტივად,
არაფერი არ გტკივა,
არ გაწუხებს ტკივილი, —
შენ ტკივილის ანტი ხარ!

* * *

რითმის გრძნობა, აზრის გრძნობა,
რიტმის გრძნობა, ფრაზის გრძნობა
არა გაქვს და შენი ლექსი
მიტომ არის საზიზღრობა!

* * *

რომ არ დამეხია, — ლექსთა
შენს წიგნს თავზე დაგახევდი!
ხარ ქვეშქვეშა, მლიქვნელ-ქლესა,
მდაბალი და მდაბლადმხედი!

* * *

მოიპარე ჩემი სახე,
ჩემი რითმა, ჩემი რიტმი!..
მნახე მაინც, შემიძახე,
ნუ მემდური, შემირიგდი!

* * *

თხემით ტერფამდე,
ტერფით თხემამდე
ხარ ხეკაცი და
ზიხარ ტყემალზე!

* * *

იფუყები, იბერები,
თავი ღმერთად გეგულვის
და გყავს შტატი მლიქვნელებით
დ ა კ ო მ პ ლ ი მ ე ნ ტ ე ბ უ ლ ი!

* * *

საბოლოო ანგარიშში,
რამდენიმე ყინულმტკაველს,
მიწა გულად გადაგიშლის, —
ჩაწექი და ი უ კ ვ დ ა ვ ე!

* * *

აბა, როგორ, არ გაგლანძღოს,
ქალიშვილო, კაცმა... გულში, —
როცა თითქმის შიშველი ხარ
ქუჩასა და სამსახურში?!
წამწამებზე — წასმა ტუშის,
„ხვევნა, კოცნა, მტლაშამტლუში!“.

ბათუ მელია

ნახ. გ. ფირცხალავასი




— ბატონო, ვისთანა ხართ, რექტორთან თუ პრორექტორთან?
— პროტექტორთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეტამორფოზების კატაკლიზმები

(ფილოსოფიური ნოველა)

გზაში მიმავალი ვიღაც უცნობი მამაკაცი შევაჩერე, გადავეხვიე, გულში ჩავიხუტე და ხუთჯერ გადავკოცნე. მიცანით? შევეკითხე დაბნეულ უცნობს. მან დაკვირვებით ამათვალიერ - ჩამათვალიერა და მხრების აჩეჩვით მომიგო: — ბოდიში, მაგრამ ვერ გიცანით! თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ვერც მე გიცანით-მეთქი, სიტყვა მოვუჭერი უცნობს და ხელი გავუწოდე, ვიცნობდეთ ერთმანეთს! ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ, რას ჩამაცივდითო, გაწიწმატდა უცნობი. აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედე, უცნობისაკენ გადავიხარე და ყურში ჩავჩურჩულე: ორმოცი მანეთი უნდა მასესხოთ. იგი ჯერ დაიბნა, მერე ისტერიკულად გადაიხარხარა, როცა ხარხარით გული იჯერა, ჯიბეზე ხელი გაიკრა და დათაფლული ხმით მკითხა: ასე ცოტა? მეტი ხომ არ გნებავთ? მითხარით, ნუ გერიდებათ. პასუხის გაცემა ვერც კი მოვასწარი, რომ უცნობმა საათს დახედა, ალბათ გიჟიაო, თავისთვის ჩაიქირქილა და აჩქარებული ნაბიჯით გამცილდა. მე გზა გადავუჭერი და ჯიქურ მივახალე: იცით რას ამბობდა თავის მეტამორფოზების კატაკლიზმებში მეთოთხმეტე საუკუნის გამოჩენილი თრაკიელი ფილოსოფოსი და ერეტიკოსი, დიდაქტიკოსი და ისტორიკოსი, ფანატიკოსი და მუსიკოსი, ფონეტიკოსი და კოსმეტიკოსი ალი მუჰამედ ქიშმიშ-ოღლი? კიდევ მინდოდა ავტომატივით რაღაცები მიმეყარა, მაგრამ დამასწრო მოთმინებიდან გამოსულმა უცნობმა და ტყვიამფრქვევივით აქეთ მომაყარა: ვინა ხარ, რა გინდა, რას ჩამაცივდი, რას გადამეკიდე, ბოლოს და ბოლოს, იტყვი თუ არა, რას ამბობდა ის შენი თრაკიელი ქიშმიშ-ოღლიო.

— ქიშმიშ-ოღლი თავისი მეტამორფოზების კატაკლიზმებში 27-ე ტომის მე-14 გვერდზე ამბობდა,— დავიწყე დინჯად, — ფული არასოდეს არ უნდა ასესხო მეგობარს, რადგანაც შეიძლება დაჰკარგო ან ფული, ან მეგობარი, ან ორივე ერთად. უცნობი გაფითრდა, სახეზე მიტკლისფერი დაედო და ენის ბორძიკით წარმოსთქვა: იცით სად მივდიოდი ახლა... მეგობართან... ხუთი თუმანი უნდა მესესხა... — ასე ცოტა? — ისტერიკულად გადავიხარხარე. ჯიბეზე ხელი გავიკარი, მეტი ხომ არ გნებავთ? სთქვით, ნუ გერიდებათ, მე გასესხებთ. უცნობმა გაბოროტებით გადმომხედა და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ჯიბიდან ცინცხალი ხუთთუმნიანი დავაძრე და ჰაერში ავაფრიალე. აიღე გეთაყვა, გამომართვი, ნუ გერიდება. უცნობი გაიბადრა, ღიმილით გადმომხედა, თვალები აუჟუჟუნდა, ლოყები შეეფაკლა და ტუჩების ცმაცუნით მკითხა: რაშია საქმე? რა მოხდა? რატომ მაძლევ ფულს? — როგორ, — გაოცებით შევყვირე, — განა არ იცი, რომ ალი მუჰამედ ქიშმიშ-ოღლი თავისი უკვდავი მეტამორფოზების კატაკლიზმებში 25-ე ტომის მე-18 გვერდზე ამბობს: ფული ან უნდა ასესხო უცნობს, ან უნდა ისესხო უცნობისაგან, რადგანაც შეიძლება დაჰკარგო ფული, მაგრამ არ დაჰკარგავ მეგობარს,ვინაიდან ვისაც ასესხე, ანდა ვისგანაც ისესხე ფული, იგი არ იყო შენი მეგობარი და თუ მან უკან დაგიბრუნა ფული, ფულთან ერთად შეიძენ ახალ მეგობარს, გასაგებია? გასაგებიაო, სიხარულით შეჰყვირა უცნობმა, ხუთთუმნიანი ხელიდან გამომგლიჯა, უბეში ჩააცურა და შურდულივით გავარდა. ჯერ ასიოდე ნაბიჯიც კი არ ჰქონდა გარბენილი, რომ მოულოდნელად შეჩერდა, შემოტრიალდა, ჩემსკენ გამოქანდა, მომიახლოვდა და ქოშინით მკითხა: ვინა ხარ, სახელი მაინც მითხარი, სად გეძიო, სად გნახო, სად დაგიბრუნო ვალიო. საპასუხოდ ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოვიღე და გავუწოდე. მან სავიზიტო ბარათი ესტაფეტასავით გამომგლიჯა ხელიდან, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ისევ შურდულივით გავარდა. თვალი დავადევნე, ვინ იცის დამიბრუნებს თუ არა იგი ვალს. გამართლდება თუ არა დიდი თრაკიელის, წინასწარმეტყველის მუჰამედ ალი ქიშმიშ-ოღლის მეტამორფოზების კატაკლიზმებში გამოთქმული ბრძნული აზრები-მეთქი. ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ბონდოს მოვკარი თვალი. ბონდოს შვიდი წლის წინ შვიდი თუმანი ვასესხე და მას უკან ახლოს აღარ გამკარებია... სიხარულით დავედევნე ჩემი ბავშვობის მეგობარს, სახინკლეში ერთად შეზრდილ ძმადნაფიცს გადავეხვიე გულში ჩავიკარი, შვიდჯერ გადავკოცნე, თვალზე მომდგარი სიხარულის ცრემლები მოვიწმინდე, და ალტაცებით შევძახე: მიცანი, ბიჭო? ბონდომ ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ჯერ დამაშტერდა, მერე დამაკვირდა, ბოლოს შვიდჯერ ჩაახველა და გაბოროტებით შეჰყვირა: ვერა, ვერ გიცანი!

...ერთი თვის შემდეგ ხუთ თუმნად ახალშეძენილი მეგობრის ხელით შვიდ თუმნად დაკარგულ ძველ მეგობარს ბონდოს დიდი თრაკიელი მოაზროვნისა და წინასწარმეტყველის ალი მუჰამედ ქიშმიშ-ოღლის მეტამორფოზების კატაკლიზმების 27-ე ტომი გავუგზავნე.

თენგიზ პირველი

## დიალოგი

— ალექსანდრე, შენმა შვილმა რად მიიღო ორი?
— რა ვქნა, ძმაო, ვერ ვიშოვე კარგი პროტექტორი!
— მანქანით რომ დაფრინავდი, რად არ ფრინავ ახლა?
— ჩემმა ცოლმა დაამტვრია, ჭადარს დააჯახა!
— საქაფავში რომ ცურავდი, რატომ გამოგაგდეს?
— ის ადგილი ცოლისძმისთვის სდომებია გამგეს!
— სიმსუქნეს რომ უჩიოდი, როგორ გახდი ასე?
— გაფლანგვისთვის დამიჭირეს და ოთხი წლით ჩამსვეს!
— სასჯელი რომ მოიხადე, რას აკეთებ ახლა?
იმედია, ცხოვრების გზას უკვე იწყებ ახლად!
— დავდივარ და დავწანწალებ, ვით მშიერი ტურა,
არც დიეტა მჭირდება და აღარც ფიზკულტურა,
ვაჭრობას თავს არ ვანებებ, ჩუმად ვყიდი ვარდებს,
(ღვინოსა და პაპიროსში ვიხშობ გულის დარდებს!).
— ნუთუ დარჩი ისევ ისე, როგორც იყავ ადრე?
ხელმეორედ ჩავარდები, ჩემო ალექსანდრე!

ბიქტორ ლეჟავა

## ოდნავ ბრძნული აზრები

სამსახურში ყველაფერს იკლებდა, სახლში კი — არაფერს.

მკითხველი მეტი ჰყავდა, ვიდრე მკითხველი.

თეთრ ლექსებს წერდა და მკითხველს შავ დღეში აყენებდა.

ყველა პირს არიდებდა, რადგან სიმართლის პირში თქმა უყვარდა.

ისეთი მახვილი სმენა ჰქონდა, რომ ხელქვეითები ლაპარაკს გადააჩვია.

ალმანზორ თავაძე



ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

ნახ. ა. ერაძისა



უსიტყვოდ

# მწყურვალთა ბარათები „ნიანგს“

წყალზე წერილების წყალდიდობაა „ნიანგის“ რედაქციაში. ახლა ზაფხულია და ენაწყლიანი ავტორების უმრავლესობა უწყლობაზე ჩივის. ზოგი წყალწყალა ლექსებს გვიგზავნის წყლის თაობაზე, ზოგი კიდევ გულგაწყალებული შემოგვჩივის — ყველგან ვწერეთ, მაგრამ ჩვენი ჩივილი თავით წყლის ნაყვა გამოდისო. და ყველა მათგანი ნიანგის წყალობას ელის. არც ნიანგი ჰყრის წყალში მწყურვალთა ნამოღვაწარს, პირში წყალს არ იგუბებს და უმოწყალოდ პირგამშრალთა სტრიქონებს უცვლელად ბეჭდავს...

— უკვდავების წყალს არ ვითხოვთ აბესალომივით, არც ლუგელას, მაგრამ ტაბახმელის, შინდისისა და წავკისის მცხოვრებლები რატომ უნდა ველოდოთ წყალს თბილისიდან, როცა ჩვენს ზემოთ — კოჯორში ანკარა წყარო მოჩუხჩუხებს?

შეახსენეთ, ბატონო ნიანგო, ჩვენი სოფლების თავკაცებს, რომ კოჯრის წყალზე გველეშაპი არაა გადაფარებული და იქიდან შეიძლება ჩვენამდე მისი ჩამოყვანა! — წერენ ნიანგს ტაბახმელელები, შინდისელები და წავკისელები.

— არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სოფლის ქუჩებში სიბნელეა, რადიოს ხმა გვენატრება და ცუდი გზა გვაქვს, მაგრამ წყურვილი რომ გვაწუხებს, იმიტომ გაწუხებთ, პატივცემულო ნიანგო! — შემოუთვალეს ნიანგს ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთიდან.

— სარეცხად წვიმის წყალს ვიყენებთ, სასმელად — „ბორჯომს“, მაგრამ „ბორჯომი“ ვსვათ ყოველდღე? — კითხულობენ ბორჯომის რაიონის სოფელ პატარა მიტარბის მცხოვრებნი.

— რა იქნება, თიანეთის რაიონის სოფელ სიონთგორშიც, ისე როგორც სხვა მეზობელ სოფლებში, აგვიშენონ ერთი არტეზიული ჭა? დაგვეხმარე, წყლის მოყვარულო ნიანგო, და შენი გულისთვის წყალში გადავვარდებით! — ეხვეწებიან თიანეთელები ნიანგს.

— წყალს ხშირად ერთმანეთისაგან ვსესხულობთ, რადგან ახლომახლო წყალი არა გვაქვს. ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო; ჩვენც წყურვილით დახრჩობისაგან გადარჩენის უკანასკნელ იმედს შენზე ვამყარებთ, ძვირფასო ნიანგო, ჩამოდი ერთხელ ჩვენთანაც, თვალს წყალი დაალევინე! — იწერებიან ჭიათურის რაიონის სოფელ მერევიდან.

ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილის მშრომელები ნატრობენ, რადგან სასმელი წყალი არა გვაქვს, სოფლის მაღაზიაში მინერალური და ხილეულის წყლები მაინც შემოზიდონ თავზე სასხმელადო.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათიდან პოემებს გვწერენ იმის შესახებ, რომ აქ რვა წელია წყალგაყვანილობის სისტემას ამონტაჟებენ და ჯერჯერობით მხოლოდ წყლის ხსენებით ისველებენ ენას.

წყლის წყურვილმა პოეზიის წყურვილი გაუჩინა და ხელში კალამი აალებინა დუშეთის რაიონის ჟინვალის დასახლებაში მცხოვრებ დავით არაბულს, რომელიც თანასოფლელთა გასაჭირს ლექსად გვწერს: „არაგვი გვერდით ჩამოგვდის, ჩვენ კი უწყლობას დავტირით, ონკანში წყალი არ მოდის, თუ მოდის — ისიც ლამ-კირით“.

— მართალია, ცოტა აღმართზე ვცხოვრობთ, მაგრამ დღევანდელ ტექნიკის ეპოქაში წყლის აღმართზე ასვლა პრობლემა როდია. მიუხედავად ამისა, წყალი მაინც გვენატრება. ზოგჯერ მის ლოდინში ღამეებს თეთრად ვათენებთ... ვის არ მივმართეთ ამის შესახებ, მაგრამ ზოგმა თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის მეურნეობის სამმართველოში გაგვგზავნა, ზოგმა სამმართველოს მე-3 საექსპლოატაციო უბანში... იქნებ შენ გვასწავლო, ძმაო ნიანგო, წყურვილისგან ძალაგამოლეულებმა ვის მივაკითხოთ? — თხოვენ ნიანგს ოქტომბრის რაიონის ვერჰანის ქუჩის № 15-ა სახლის მობინადრენი.

წყურვილით ვიხრჩობითო, ცრემლისმომგვრელი წერილები გამოუგზავნეს ნიანგს აგრეთვე თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კლდეისიდან, ვარდისუბნიდან (ლაგოდეხის რაიონი), ქვემო იამთუხიდან (სოხუმი), ბოგდანოვკიდან (საგარეჯოს რაიონი), წნორიდან, თბილისის ლენინის რაიონის გომარეთისა და 1 ძმობის ქუჩებიდან, ასევე ჟინვალის ქუჩიდან და ა. შ.

ნიანგს ჯერ წყლითა აქვს სავსე პირი, დაელოდება ამა სოფლების თავკაცთა პასუხებს, მერე კი წყალში ჩადგება მწყურვალთა გულისთვის, გააქარწყლებს მათ უიმედობას, უმოწყალოდ გაკიცხავს ზოგიერთ დაუდევარ ხელმძღვანელს და მომჩივანთა წისქვილზე დაასხამს წყალს.

ბარათები მიიღეს მ. გველესიანმა, მ. ცინცაძემ

# გადაკეთებული ანდაზები

● **თუ** გული გულობს, ქადას სულ არ შეჭამს კაცი.

● **ტყუილს** ზოგჯერ გრძელი ხელები აქვს.

● **ყურძნის** სიყვარულით ღობეს ამტვრევდნენ.

● **კოკა** ყოველთვის მოიტანს წყალს, თუ არ გატეხე.

● **ვინც** მოითმენს, ყოველთვის არ მოიგებს.

● **მითხარი**, ვინა ხარ შენ და გეტყვი, ვინაა შენი ამხანაგი!

● **დედა** ნახე, მამა ნახე და შვილს აღარ უნდა ნახვა.

● **რასაც** დათესავ, ყოველთვის იმას ვერ მოიმკი!

● **ფული** ხელის ჭუჭყია, ამიტომ ჯიბეში უნდა ჩაიდო!

ანდაზები გადააკეთა ვანო გურულმა

ნახ. დ. თოთიბაძისა



უსიტყვოდ



— ნახე, ევა, რა იმპორტული ჯინსის ფოთოლი მოგიტანე!

მთავარი რედაქტორი ზურაბ გემაზაშვილი. სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოდუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიჟნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 24/VIII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VIII-78 ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 2103 უე 00799 ტირ. 146.760. Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ნ. მალაზონია. გ. ფირცხალავა, გ. ლომიძე, ა. ერაძე, ი. ყეინიშვილი, დ. თოთიბაძე, ვ. ქუცია.

455
4.IX

7-78
78-455
ელექტრონული ბიბლიოთეკა
76187

ნახ. გ. ლომიძისა





დედამიწა: დაყარე იარაღი! ნეიტრონის ბომბიც გადააგდე!

ჩილეს ხუნტა უხვად ღებულობს ამერიკულ სამხედრო იარაღს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ამერიკის კონგრესმა დაადგინა შეწყდეს პინოჩეტისათვის ყოველგვარი სამხედრო იარაღის მიწოდება.




ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში პენტაგონს ხანძარი გაუჩნდა.



გამალებული შეიარაღების ჩირაღდანი